11/08/2025

მიტროპოლიტმა ანტონიმ დეკანოზ იგორ ვიჟანოვს გადასცა პატრიარქის ბრძანებულება სსკგ-ის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

2025 წლის 8 აგვისტოს, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ სსკგ-ში ადმინისტრაციულ თათბირზე დეკანოზ იგორ ვიჟანოვს ამ სინოდალური უწყების თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა.

დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე, რომელიც 24 ივლისს გაიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს თავმჯდომარეობით.

გადასცა რა პატრიარქის ბრძანებულება, მიტროპოლიტმა ანტონიმ დეკანოზ იგორ ვიჟანოვს ღვთის შეწევნა უსურვა მის მომავალ საპასუხისმგებლო საქმიანობაში

mospat.ru/ge